№ 265 მთავრობის მოამბე

საქართველოს რესპუბლიკა

ოფიციალური გაზეთი წელიწადი მეოთხე

ფასი 1 მან. ოქტომბერი, 17 დეკემბერი 1919 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განცხადებანი)
„საქართველოს რესპუბლიკა"
მეოთხე წელს მოქმნილი 1919 წლისთვის. ფასი: ერთი წლით 220 მ., ნახევარი წლ. 110 მ., 1 თვით 20 მ., ცალი ეგზემპლარი 1 მან. საფოსტო-ფულადი ფოსტიერი: ერთ ეგზემპლარი ბეტრეთი 1 ეგზემპლარ 3 მ., ეგზემპლარ 2—50. ფასი ეგზემპლარ 1—52.

დაბეჭდილია ბაქოს ბეჭდვითი ბიუროს ...

დაბეჭდილია ბაქოს ...

დაბეჭდილია ...

აპაკიძე ქავთარაძის

ტრადიციული გამოფენილობა. დაკრძალვა 18 დეკემბერს, ქ. ზუგდიდში.

ქანტორიდან

მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ."-ზე 1920 წლისთვის.

გაზეთი ღირს 1 თვით 40 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე ბეტრეის სტრიქონი 3 მ. 50 კ. მეოთხე გვერდზე 3 მანეთი. სამკლერიკალო განცხადება ნებელ ბეტრეი ზომისა 80 მანეთი.

სახელმწიფო თეატრი

ოპერა ს. ი. ელალიშვილის ხელმძღვანელობით. სეზონი—1920 წ.

ოთხშაბათს, დეკემბრის 17-ს ნინო კოშეიეს მენეჯ. ბენეფისი ტრაგედია ენაზე

დეკმონ

მონაწილეობენ: კოშეიეი, ზორაბი, ოთოკაროვსკი, ანაშვილი, სამანინი, ფეფინაკენი, ხუთაშბანაძე, დეკემბრის 18-ს მეორეთი ქართული კომიკური ოპერა ვეტერან დოლდასანი „ქუთაი" მონაწილეობენ: კალანდარიშვილი, ერმოლინსკაია, ზელოდოვა, ...

ქართული სამეფოსო სახოგადოების

ქართული

სეკ. ეინერ. კოლიბერგ. კავშირის

საოპერო სტუდია.

ბორისკენ, 19 დეკემბერის ოპერა

თქმულება ზოთა რუსთაველზე

სასალხო თეატრში

(ზეგ. სალ.)

241 2—1

მუსიკა დ. არაკიშვილისა.

ოფიციალური განცხადებანი.

დეკრეტი

ალეკსანდრეს ხანდილის ბაგეშვთა თავშესაფარის საქმიროებისათვის ყოველთვიურად დამატებით 14.734 მან. და 50 კაპ. გადადებისა.

1. ეფიუენ ინგლის სამეფოშეთა ბანინიდან შინაგან საქმეთა ნინისტრის განკარგულებაში ამა 1919 წლის ოქტომბერს 1-დან ყოველთვიურად დამატებითი თანხა თოთხმეტი ათას შვიდას ოცდა თოთხეტი მან. და 50 კაპ. (14.734 მან. 50 კაპ.) ალეკსანდრეს სახელით ბაგეშვთა თავშესაფარის საქ. საოჯახისათვის.

2. ფეკრეტი ეს ძალაში შედის დღიდან მოგებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წლის დეკემბრის 9.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ს. ფალავანი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

დანართი II მე 2 მუხლისა.

ხელფასის ცარიელი.

ტფილისის ბოტანიკურ ბაღის და განყოფილების მოსამსახურეებისა 1919 წ. ნოემბრის 1-დან 40% მომატებით.

ტფილისის ბოტანიკური ბაღი:

1. უფროსი მებაღე	1540
2. მებაღე	1400
3. ხეთიბის მეშვი	1295
4. მებაღის თანაშეშვე	1295
5. უფროსი მეშვი .	1295
6. მოსამსახურე	1225
7. მეშვ.	1225
8. მეშვ. ქალი	840
9. მკიბეულნაირი	770
10. ნაბეჭნი ბიბლიოფერი	1295
11. მინაგარეშეი და კონსერვატორიო, თანაშეშვეშე	1295

ყარაბაღის განყოფილება:

12. მეშვის თანაშეშვე	1295
13. მეშვ.	1225
14. მეკარე მეშვ.	770

ბაკურიანის განყოფილება:

15. მეშვის თანაშეშვე	1295
16. მეშვ.	1225

1919 წ. დეკემბრის 2

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხ. ნ. ფალავანი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

დანართი III მე-2 მუხლისა.

ხელფასის ცარიელი.

ხაჭარის ხანგრეის და არგვეთის მამულის მოსამსახურეებისა 1919 წ. ნოემბრის 1 დან 40% მომატებით.

თანაშეშვე ბაღეი	1750
ხაჭის მეურნეობელი	1250
მებაღე	1300
უფროსი მეარენე	1250
ლაბორატორიის მეშვ.	900
ბალის მეშვ.	900
მარნის მეშვ.	900
მეფრინველე	900
მეტელე .	900
მეეზოე	900
მეარეკი	900
ფაეტონი	900
ბაღეული	650

1919 წ. დეკემბრის 2-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ს. ფალავანი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

დანართი IV მე-2 მუხლისა.

ხელფასის ცარიელი.

ყოფილი სახელოსნოს მამულების ლენინის სარდაფის ტფილისის განყოფილების მოსამსახურეებისა 1919 წ. ნოემბრის 1-დან 40% მომატებით.

უფროსი მეარენე	2500
ბოიანარაში	2500
ტუტრის უფროსი მოხელე მეტი ჯამაგირით	2150
ტუტრის უფროსი მოხელე	1800
ტუტრის მოხელე	1750
ეფერადი	1700
ეფოლარე	1700
ბოიარი	1900
ნოიარის თანაშეშვე	1650
ნოიარი მამულის საქმის მოსანდობელი	1350
ეფასარე	1700
ბარნის მეშვ.	
ეფერადი	
ეფეთელი	ყველას 40% მომატება.
ლიანის დარაჯი	
ეფეთელი	

1919 წ. დეკემბრის 2-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ს. ფალავანი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

დანართი V მე 2 მუხლისა.

ხელფასის ცარიელი.

ტფილისის სახელმწიფო სელოსნოს მოსამსახურეებისა 1919 წ. ნოემბრის 1 დან 40% მომატებით.

საქმის მოამბეები	1650
უფროსი მოიჯარადენი	1300
ეფერადი	1200
ეფერადი	1200
საბეჭდოთა ფერმენელი	1400
უფროსი ეფერადენი	1100
ეფერადენი	1000

1919 წ. დეკემბრის 2.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ს. ფალავანი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

დანართი VI მე-2 მუხლისა.

ხელფასის ცარიელი.

ტფილისის სახანგრეის მოსამსახურეებისა 1919 წლ. ნოემბრის 1-დან 40% მომატებით.

თანამშრომლობითი ფასებიდან	**თვეშეკრ. მან.**
სახანგრეის ბაღეი	2500
ბაღეის თანაშეშვე	1800
ბუღალტერი	2000
ბუღალტერის თანაშეშვე	1222
დამლაგებელი	1222
ბრიგადეი	1225
ფაბრიკის ბაღეი	1225
ეფარეი	1225
ეფეთელი	1225
ეფეტელის დამნიეები	1225
ფეფოკელი	1800
ფეტელის მეეზოეი	1500
ეფეშ.	1225
ეფეთელი ეფეშ.	2000
ეფეშ.	1600
ეფეშ.	1225

ეფოკეტრონის ხაღეური.

ტუბნეკოსი	2500
უფროსი ეფეშენკოსი	2400
ეფეშენკოსის თანაშეშვე	1950

ეფეშენკი.

ეფეშენკის ბაღეი	1800
ეფეშენკის ეფეშ.	1225
ეფეშ.	1225
ეფეშ.	800

1919 წ. დეკემბრის 2-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ს. ფალავანი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

ეარ ოფიციალური განყოფილება

მთავრობაში

9 დეკემბრის სხდომა.

დაესწრენ: მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე—ეგ. გეგეჭკორი; მინისტრები—ა. ნინა ანდუღალა, ერატე რამიშვილი; სახელმწიფო კონტროლიორი—ნ. ნინ ბეგოლიშვილი; მინისტრთა ამხანაგები—ბ. ნინ ჭუკნაძე, ციხელაძე, ეკიკინაძე, გელეშიშვილი, ბახტაძე, ქარეკეზაძე, ბეგლეფნიშვილი, ბაზალეთი, ფაბერეკი, ფეტერეკი, ეფეტერეკი, ეფეტერეკი, ეფეტერეკი, ...

მდ. ჩიორნის ნაპირების გამაგრებისათვის.

ლანჩხუთის ტაბლის თავთმარავლობის ეფარშინის დაეწილ. ეფეშენკოსა მდ. ჩიორნის ნაპირების გამაგრების საკეთილ დამბარების ...

ტაეიეულის ქვა-ნახშირის გასალების პროექტი.

ეფეტერეკ სეფეშეთა ...

ბეთა—სოხუმის რკინის გზა.

ეფეტერეკ ...

ეფეშეკოვანი ეფეშეკოვანი

ნეფარიოვების გაეშეკება

...

ეფეშეკოვანი

ეფეშეკოვანი

ეფეშეკოვანი

ეფეშეკოვანი

ეფეშეკოვანი

ეფეშეკოვანი

ეფეშეკოვანი

ეფეშეკოვანი

ეფეშეკოვანი

ეფეშეკოვანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქის თვითმართველობაში.

სკოლის სახელის შეცვლა

უკანასკნელი დადგენილება დიდუბის სასწავლებლის გამგის, ეგოროვის თხოვნა სასწავლებლის სახელწოდების შეცვლის შესახებ დაკმაყოფილებულ იქნას და დაერქვას ხსენებულ სკოლას „კუკიის" სასწავლებელი.

მოქალაქეთა აღწერა

მოხდეს ქალაქის მცხოვრებლების ახალი აღწერა, რათა გამორკვეულ იქნას ქალაქის ეხლანდელი მდგომარეობა, ნაწილი ხარჯებისა ამ საქმის შესასრულებლად იდოს თავის თავზე ქალაქმა, ხოლო ნაწილის დასაფარავ თანხა გამოთხოვილ იქნას მთავრობისაგან. მიენდოს გამგეობის წევრს მაჭავარიანს შეუდგეს წინასწარ მუშაობას აღწერისათვის.

ფულის დახარჯვის ნებართვა.

კუკიის ქალთა სახელოსნო სასწავლებლის გამგეს ნება მიეცეს სასწავლებლისათვის აუცილებელ საჭირო ნივთების შესაძენათ დახარჯოს მისს განკარგულებაში არსებული 2536 მ. ეს თანხა უნდა დაუბრუნდეს ქალაქის თვითმმართველობის სალაროს ხსენებულ სასწავლებელში დამზადებულ ნახელსაქმის გაყიდვის შემდეგ.

სტ. განყ. სმეტა.

რადგან ქალაქის სტატისტიკური განყოფილების მუშაობა ფერხდება მის განკარგულებაში განსაზღვრულ სმეტის უქონლობის გამო — მიენდოს ქალაქის გამგეობის წევრს მაჭავარიანს დაუყონებლივ შეადგინოს სტატისტიკური განყოფილების სმეტა, მიიღოს მონაწილეობა სტატის. ბიუროს წარმომადგენელმა ქალაქის სხვა და სხვა საკითხების გადამწყვეტ კომისიების მუშაობაში.

მომრ. მოსამართლეთა მოთხოვნილება.

მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარემ შუამდგომლობა აღძრა ქალაქის თვითმმართველობის წინაშე, რათა გაუდიდდეთ მათ ჯამაგირი, ქალაქის გამგეობამ მათ არსებულ ჯამაგირებზე 1000 მანეთი მოუმატა.

გადასახლება.

გადამსახლებელმა კომისიამ სახლის პატრონთა წარმოდგენილ პირებს 182—დაკითხა მათი მდგომარეობის შესახებ. ამათგან კომისიამ გადაასახლა 112, ხოლო დასტოვა 42, დანარჩენთა შესახებ კომისიამ გამოითხოვა დამატებითი ცნობები. იმ პირთ, რომელთაც კომისიამ გადაუწყვიტა გადასახლება გაგზავნიან ორ დღეში.

ქალაქის საბჭო.

(15 დეკემბრის სხდომა)

თავმჯდომარეობს **ალ. ლომთათიძე.**

ქალაქში სასურსათო მდგომარეობის შესახებ მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი **ფანიევი.** ის აღნიშნავს სასურსათო საქმის გართულებას და უკანასკნელად პურის ფასის აწევას, ამის მთავარ მიზეზად ასახელებს რესპუბლიკაში მოუსავლობას და ბლოკადას. ტფილისი, რომელიც წინეთ სოფლებიდან შემოტანილ სურსათით იკვებებოდა, ამბობს მომხსენებელი, წრეულს მოუსავლობის გამო სოფლებიდან სურსათს ვერ ღებულობს. პური უმთავრესად გარედან უნდა შემოსულიყო, მაგრამ ბლოკადის გამოცხადების შემდეგ ეს საშუალება არ გვეძლევა. შემდეგ ის ხაზს უსვამს იმ ზომებს, რომლის მიღება იყო საჭირო სურსათის შესაძენად და იძლევა ცნობებს თუ რომელ კუთხიდან რამდენი ფუთი ხორბალი იქნა შემოტანილი. დღეს პურის შეძენის საქმე მინდობილი აქვს მომარაგების სამინისტროს და უკანასკნელი დააკმაყოფილებს ქალაქსაც. მაგრამ სასურსათო განყოფილება მაინც ყოველივე ღონეს ხმარობს, რომ ქალაქის ულარიბეს ნაწილს მიაწოდოს პური და მჭადი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომარაგების სამინისტრო შესძლებს პური მოგვაწოდოს. დღეს ის მოლაპარაკებას აწარმოებს ამერიკის მისიასთან და ამ დღეებში ჩვენ მოგვივა კანადიდან თეთრი ფქვილი. ჩვენ პურზე ფასის დაწევას არ უნდა მოველოდეთ, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, მდგომარეობა ცოტათი მაინც გაუმჯობესდება იმით, რომ ქალაქში საკმაო პური გვექნება. სურსათის შეძენა უნდა მოხდეს საერთო სახელმწიფოებრივი მასშტაბით. ქალაქის სასურსათო განყოფილება ვერ შეისყიდის პურს, ვინაიდან ეს საქმე მომარაგების სამინისტროს აქვს მინდობილი.

გოთუა. ბლოკადასა და მოუსავლობაში ის ვერ ხედავს პურზე ფასის მომატების მიზეზს. მთავარ უბედურებად მას მიაჩნია ის, რომ ერობები გზებს უკრავენ ერთმანეთს და პურს ან სხვა სურსათს არ აძლევენ. მისი აზრით საჭირო დაწესდეს თავისუფალი გზები და უცხოეთიდან სურსათის შემომტანთათვის უნდა დაწესდეს არამც თუ შეღავათები, არამედ პრემიებიც. შემდეგ ის აღნიშნავს მომარაგების სამინისტროს ნაკლულევანებებს და მოითხოვს, რომ ის გაწმენდილ იქნას უცხო ელემენტებისაგან. ქალაქმა თვით უნდა იკისროს, თავისი ორგანიზაციების საშუალებით, სურსათის შეძენა და არ უნდა უკადოს სამინისტროს. აგრეთვე ქალაქმა უნდა გაიტანოს საზღვარ-გარეთ ზოგიერთი საქონელიო.

ვაჩნაძე აღნიშნავს, რომ კახეთში პური ბლომად მოვიდა, მაგრამ გლეხებს თვით სჭირიათო. ბლოკადის აუცილებლობა გარეშე საქმეთა მინისტრს უნდა გაეთვალისწინებია 5—6 თვის წინეთ და სასურსათო სამინისტროსათვის. ეს ბლოკადა ისეთი დიდი უბედურება არ არის, მისი აზრით, როგორც ეს მომხსენებელმა აღნიშნა. ერთად ერთ გზათ მას მიაჩნია გარეშე ბაზართან, ევროპასთან კავშირის დაჭერა. ამასთანავე, ის მოითხოვს მომარაგების სამინისტროს განწმენდას უცხო ელემენტებისაგან.

ი. გომართელი უპასუხებს წინეთ მოლაპარაკე ორატორებს და აღნიშნავს, რომ გამგეობის საყვედური უადგილოა, ვინაიდან ის ყოველივე ღონეს ხმარობს და ულარიბეს ნაწილს აწვდის პურს თუ მჭადს. ქალაქის გამგეობის აზრი, რომ სურსათის საქმემ მთავრობის ხელში მოიყაროს თავი—ეს მიზან შეწონილია და ერთად ერთი პრაქტიკული გზაა, მისი აზრით, ვინაიდან თუ სამინისტრომ ცალკე დაიწყო სურსათის შეძენა და ქალაქმა ცალკე ამით საქმე უფრო აირევა და გაძნელდება. ბლოკადა დიდათ აფერხებს საქმეს, ვინაიდან ჩვენ ვიცით, რომ სანამ ბლოკადა არ იყო პურს ვღებულობდით ჩვენ კავკავიდან, მთავრობას გაგზავნილი ჰყავდა კაცი უკრაინაში და იქ მოლაპარაკებას აწარმოებდა, მაგრამ ბლოკადამ გზები მოგვიჭრა და ამით საქმე გართულდა. მომარაგების სამინისტროს, უცხო ელემენტებისაგან გაწმენდა მას სასურველად არ მიაჩნია, ვინაიდან იქ ბევრია ისეთი ხალხი, რომელთაც საქმე კარგათ ესმის და უწყებისათვის საჭირო არიან. ევროპის ბაზართან კავშირი სასურველია და ამაზე დიდი ხანია ჩვენი მთავრობა ზრუნავს. მართალია თვით ევროპის ცხოვრება დღეს ძლიერ აწეწილია, მაგრამ უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენი მთავრობა მოახერხებს კავშირის დაჭერას. შემდეგ ის აღნიშნავს იმ მოუსავლობას, რომელსაც ადგილი ქონდა მთელ რესპუბლიკაში და რომელმაც სურსათის საკითხის გამწვავებას ძლიერ შეუწყო ხელი. მისი აზრით, მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს მუშა-მოსამსახურეთ და საერთოდ ქალაქის ულარიბეს ნაწილს. თუ უკანასკნელთა დახმარება მოვაწყვეთ კრიზისს გადავიტანთო, ამბობს ორატორი.

ა. ჯაჯანაშვილი. მომარაგების სამინისტროს კრიტიკა მას უადგილოთ და ნაადრევათ მიაჩნა. მისი აზრით ერთად ერთი გზაა, რომ მომარაგებას სამინისტრომ გარეშე სახელმწიფოდან შემოიტანოს სურსათი და შიგნით კი სხვა და სხვა ორგანიზაციებში შეუთანხმდეს მომარაგების სამინისტროს და მოსავლიან ადგილებიდან სურსათი მიაწოდონ ნაკლებ მოსავლიან ადგილებს.

საბჭომ, ფანიევის საპასუხო სიტყვის შემდეგ, ეს მოხსენება მიიღო ცნობად.

ამის შემდეგ გარჩეულ იქნა წესრიგში დასმული მრავალი წვრილმანი საკითხები.

კრება დაიხურა ღამის 12 საათზე.

შრომის ბირჟა

ახალი პროექტი.

შრომის განყოფილების მიერ შემუშავებულია შრომის ბირჟის ახალი დებულება, რომელიც ამ დღეებში წარდგენილ იქნება ქალაქის თვითმართველობის შრომის კომისიაში და პროფ. კავშირთა საბჭოში განსახილველად. ამის გამო შრომის ბირჟის მიერ უკვე დაგზავნილია საანკეტო ფურცლები. პრ. კავშირებში სხვა და სხვა სადაო საკითხებზე საპასუხებლათ.

ბრმათა სკოლა.

დათვალიერებულ იქნა ბრმათა სკოლა, რომლის საქმეების სასურველად დაყენება კარგ შთაბეჭდილებას ახდენს. სკოლას განაგებს ქ-ნი ერისთავისა. ბრმები თავისუფლად კითხულობენ, სწერენ, უკრავენ როიალზე, აკეთებენ კალათებს და სხვ. სკოლაში არის 26 ბავშვი, რომლებიც იქვე სცხოვრობენ, მათში 15 ქართველია, 8 სომეხი და 3 სხვა ეროვნების. იქვე მუშაობენ მოზრდილი ბრმებიც 11 კაცი, რომლებიც შეკავშირებული შრომით ამზადებენ ჩოთქებს. 1919 წელს მათი თანხა 200,000 მანეთს უდრიდა, ხოლო საპაიო 25,000 მანეთს. ქალაქის თვითმართველობამ დააკმაყოფილა თხოვნა 25 ათას მანეთის ერთდროული დახმარების შესახებ და დაავალა საბინაო განყოფილებას გამოსძებნოს შესაფერი ბინა ამ ხალხის ნაწარმოების გასაყიდად.

მოხსენება

შრომის ბირჟა აწყობს 18 დეკემბერს მუშათა კლუბში მოხსენებას შემდეგ თემაზე: „რა კეთდება, რა უნდა კეთდებოდეს ქალაქის თვითმართველობის მიერ ხალხის სოციალური დახმარებისათვის".

პატარა შენიშვნები.

რუსეთის ვითარება.

როცა რუსეთს ვეხებით, მხედველობაში უნდა გვქონდეს ორი რუსეთი—რუსეთი დენიკინის და რუსეთი ბოლშევიკების. დიდი ხანია ეს ორი ძალა სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძვის ერთმანეთს და ჯერ კიდევ არავის შეუძლია სთქვას, თუ რომელ მათგანს დარჩება პირველობა.

უკანასკნელ კვირაში თვალსაჩინო ცვლილება დაეტყო ორივე მებრძოლ ბანაკს. საბჭოთა მეშვიდე ყრილობამ, რომელიც წარსულ კვირაში დასრულდა მოსკოვში საზავო წინადადებით მიმართა ინგლის-საფრანგეთის კოალიციას. ამავე დროს გაზეთებში დაიბეჭდა ინგლისის მთავრობის მეთაურის ლოიდ-ჯორჯის მიერ ერთ ერთ ბანკეტზე წარმოთქმული სიტყვა და ამის გამო ინგლისის პარლამენტში მომხდარი კამათი. ლოიდ-ჯორჯის სიტყვა და კამათი მის გარშემო შეეხებოდა რუსეთის საბჭოთა მთავრობასთან დავის მორიგებით გათავებას.

ინგლისის ასეთი პოლიტიკა ახალი გზაა. დღემდე ინგლისი ბოლშევიკებთან ბრძოლაში დენიკინს ეხმარებოდა—აწვდიდა როგორც სამხედრო მასალას, ისე სხვა და სხვა სურსათს. მართალია, ჯერ-ჯერობით ამაზე ინგლისს უარი არ უთქვამს ოფიციალურათ, მაგრამ დენიკინის სამეფოში მაინც დიდი აღელვება გამოიწვია ინგლის საბჭოთა რუსეთის მოლაპარაკების განზრახვამაც კი.

დენიკინის მომხრე გაზეთებმა გამოაფინეს ყველა საბუთები იმის დასამტკიცებლად, თუ როდის ან რა სამსახური გაუწევია რუსეთს ევროპისათვის.

მათი თქმით, რუსეთმა იხსნა ევროპა მონგოლების შემოსევისაგან, გერმანიის მიერ აოხრებისაგან საერთაშორისო ომის დასაწყისში და სხ.

ეხლაც რუსეთი, (ე. ი. დენიკინი და მისი ლაშქარი) გასაქანს არ აძლევს ბოლშევიზმს, რომ ის მოედოს ევროპას.

ბევრ ასეთებს ჩამოთვლიან მოხალისენი თავიანთ ნამსახურობით სიაში და დაბოლოს ემუქრებიან კიდეც ინგლისს: თუ თქვენ არ მოგვხედავთ და დახმარების ხელს არ გამოგვიწვდით— სხვა მოკავშირეს მოვნახავთო.

როგორ უცქერის ინგლის-საფრანგეთი დენიკინელთა მუქარას? ამის პასუხი გუშინ მოგვიტანა რადიომ: ლონდონში უკვე მომხდარა შეთანხმება ინგლის-საფრანგეთ-იტალია-ამერიკას შორის. სხვათა შორის ამ სახელმწიფოთა კონფერენციას რუსეთის საკითხი გაურჩევია. დაწვრილებით არ გადმოგვცემს რადიო, თუ რა გადაწყდა, მაგრამ შემცდარი არ ვიქნებით თუ ვიტყვით, რომ გადაწყდებოდა საკითხი სწორედ ისე, როგორც ეს ინგლისს სურდა.. ინგლისს კი ჰსურს ზავი საბჭოთა რუსეთთან. ძნელია იმის თქმა, თუ რა პირობებში მოხდება ეს ზავი, მართლა შეიკვრება ის თუ არა, მაგრამ ერთი შეგვიძლია ვთქვათ—ინგლისი და საერთოდ მოკავშირენი ხელს აიღებენ დენიკინს. ეს კი, დიდათ გააძლიერებს ბოლშევიკების ძალას. თვით დენიკინის მოქმედებაც ხელს უწყობს ბოლშევიზმს... ყუბანის რადის გარეკის, დემოკრატიის მოსარჩლე დეპუტატების დაპატიმრება-დახვრეტის ნაყოფი უკვე იგემა მოხალისეთა სარდლობამ. ყაზახობა, რომელიც დენიკინის ჯარის ქვა-კუთხედს შეადგენდა, ნელ-ნელა ფრონტს სტოვებს და სახლში გამორბის. ამით აიხსნება რომ საბჭოთა ჯარმა აიღო ხარკოვი, პოლტავა და წინ მოიწევს...

ახლა ყველასათვის თვალსაჩინო გახდა, რომ დენიკინ-კოლჩაკმა ვერ გაამართლა მოკავშირე სახელმწიფოთა იმედები, ვერ გაამართლა აგრეთვე იმ გულუბრყვილო ხალხის იმედები, რომელნიც ბოლშევიკებისაგან ხსნას დენიკინში ხედავდნენ.

დამარცხება საშინაო, დამარცხება საგარეო, —აი როგორია დენიკინ-კოლჩაკის ხვედრი ამ ჟამად.

საზოგადოთ კი ძნელია იმის თქმა, თუ რას მოუტანს რუსეთს ხვალინდელი დღე—რუსეთი ყოველგვარი შესაძლებლობის ქვეყანა იყო, არის და ასეთადვე დარჩება ჯერ კიდევ დიდი ხნით..

შინაური.

სატაროფო პალატაში

ტარიფი ხელფასისა.

ნებით დაქირავებულ მუშა-მოსამსახურეთა სამხედრო ნაწილებისა, სამხედრო სამინისტროს უწყებისა, დაწესებულებებისა და სამართველოებისა, რომლებზედაც არ ვრცელდება კოლექტიური ხელშეკრულება.

მუშა-მოსამსახურეთა სამხედრო ნაწილების სამხედრო სამინისტროს უწყებათა, სამართველოებისა და დაწესებულებების

მხაზავი კონსტრუქტ. იღებს თვიურად 1850 მ., მხაზავები 1700 მან., მხაზავი გადამღებნი 1550 მან. კანტორაში მომუშავე 1 ხარისხისა (მწერალი) 1500 მან., კანტორაში მომუშავე 2 ხარისხისა (მწერალი) 1400 მან., მანქანაზე გადამწერი 1400 მ., საწყობში მოსამსახურენი (ნივთების დამლაგებელნი) 1700 მან., შინა სამსახურის დარაჯნი, შიკრიკი, მეეზოვე, მეკარე 1225 მ., გარეშე დაცვის დარაჯი, მრეცხავები 1400 მ., მებუხრეები, მებაღეები და მეუბაგირეები 1700 მ., შოფერები 1800 მ., შოფერების თანაშემწეს 1500 მ., საინჟინერო ზედამხედველს 1700 მ., მჭედელს 1900 მ., წყალსადენზე მომუშავეს 2000 მ., უფროს ფერშალს (სკოლა, დამთავრებული, სანიტარული და ვეტერინარული) ეძლევა უფასოთ ხარჯი 1900 მან., ასეულის ფერშალს (მედიცინისა და ვეტერინარის) ეძლევა უფასოთ ხარჯი 1200 მან., მოწყალების დებს 1540 მ., სანიტარებს, ავადმყოფის მომვლელ ქალებს 1225 მ., დეზინფექციის გამკეთებლებს 1700 მ., ლიტოგრაფებს 2600 მ., ზეინკალს 1 კატეგორიისას 2300 მან., დურგალს 2000 მ., ხუროს 1900 მ., მეჩექმე (მეწაღე) 1900 მან., მკერვალს 1900 მან., დალაქს 1400 მ., ელექტრონის სადგურის მემანქანეს 2500 მ., მის თანაშემწეს 1850 მ., ელექტროტეხნიკს 2300 მ., ორთქლით მთბობელის მემანქანეს 2450 მ., მის თანაშემწეს 1800 მან., მეაბანოვეს 1800 მ., სამრეცხველოს ზედამხედველს 2000 მან., მზარეულს (ეძლევა უფასო ხარჯი) 1200 მან., მის თანაშემწეს (ეძლევა უფასო ხარჯი) 1000 მ., არტელის მოსამსახურეებს (ეძლევა უფასო ხარჯი) 1200 მ., მებარგენი, მეჯინიბენი, მეეტლეები და მეურმეები 1400 მ., შავი მუშები 1400 მან.

„აბანო სამრეცხველო" მატარებლის № 1 და 2 მოსამსახურენი.

უფროს ზეინკალს 2000 მ., ზეინკალის თანაშემწეს 1840 მან., უფროს ელექტრო-მანტიორს 2000 მ., ელექტრო-მანტიორის თანაშემწეს 1850 მან., დეზინფექციის გამკეთებელს 2000 მან., დეზინფექტორის თანაშემწეს 1850 მ., უფროს კაჩეგარს 1750 მ., კაჩეგარის თანაშემწეს 1680 მ., შავ მუშებს 1500 მ., სუფთა საცვლების საწყობის გამგეს, კანტორაში მოსამსახურეს 1850 მ., დასვრილი საცვლების საწყობის გამგეს, კანტორაში მოსამსახურეს 1850 მ., კანტორაში მომუშავე ქალს 1400 მ., საკუჰნაოში მომუშავეს (ნივთების დამლაგებელნი საწყობში) 1750 მ., ვაგონების დამლაგებელს 1500 მან.

მუშა-მოსამსახურენი ტფილისის სასურსათო მაღაზიისა.

მოანგარიშე 1 ხარისხისა 1950 მ., მოანგარიშე 2 ხარისხისა 1850 მ., კანტორაში მომუშავეს 1700 მ., მეტელეფონეს 1400 მ., მანქანაზე მომუშავე ქალს 1400 მ., ექსპედიტორს 2100 მ., მეთვალყურე ბარგის საწყობ ეზოსი 2100 მან., ექსპედიტორი, თანამხლებელნი სანოვაგიან ვაგონებისა 1700 მან., ხუროს 1900 მან., მჭედელს 1900 მან., მეურმეს 1400 მან., შავ მუშებს 1400 მან.

ტფილისის საგუშაგო მუშა-მოსამსახურენი ფურნეებისა.

ფურნეების გამგეს 2100 მ., პურის ამწონავებს 1550 მ., პურის მიმღებს 1550 მ., პურის დამწყობს 1550 მან., დახელოვნებულ პურის მცხობლებს 1820 მ., პურის მცხობელი 1 ხარისხისა 1800 მ., პურის მცხობელი 2 ხარისხისა 1750 მ., გამომცხობნი და ქვა გამცრელნი ფქვილისა 1650 მან.

შენიშვნა: ყველა ზემო დასახელებული მოსამსახურენი იღებენ უფასოთ:

პურს ყოველ დღიურად 2 გირვანქას, ყოველ კვირაში აბანოსთვის 1 ბილეთს, ყოველ თვიურად საპონს 1 გირვანქას, ყოველ კვირაში გარეცხილ წინსაფარსა და თავსახურავს— 1 წინსაფარს, 1 თავსაფარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისის სამხედრო მუშა მოსამსახურენი წინსვლებისა.

ილებენ ხელფასს სახელმწიფო ლითონის წარმოების მუშა მოსამსახურეთა ტარიფის თანახმად, დამტკიცებული ამა წ. 13 ნოემბერს მთავრობის მიერ.

ტფილისის ნივთების საწყობების მუშა-მოსამსახურენი.

მოანგარიშე 1 ხარისხისა 2250 მ., მოანგარიშე 2 ხარისხისა 1950 მ., კანტორაში მომუშავე 1 ხარისხისა 1750 მ., კანტორაში მომუშავე 2 ხარისხისა 1465 მან., მანქანაზე მომუშავე ქალს 1500 მან., საწყობების ზედამხედველის თანაშემწეებს 2250 მ., დარაჯი, კარის მცველნი, შიკრიკნი და მეეზოვეებს 1400 მ., ხურო, ზეინკალი და მჭედელს 1900 მ., მეჯინიბე და მეეტლეს 1400 მ., შავ მუშებს 1400 მან.

ზემოხსენებული ტარიფი განიხილა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ ა. წ. 13 ნოემბრის სხდომაზე და დაადგინა:

დამტკიცდეს ა. წ. 1 ნოემბრიდან ნებით დაქირავებულ მუშებზე და მოსამსახურეებზე სამხედრო ნაწილებისა, სამხედრო სამინისტროს უწყებისა, დაწესებულებებისა და სამმართველოებისა, რომლებზედაც არ ვრცელდება კოლექტიური ხელშეკრულება ლითონზე მომუშავეთა და მბეჭდავთა კავშირებთან ტარიფი ხელფასისა, დამტკიცებულია ა. წ. 13 ნოემბერს სატარიფო პალატის მიერ.

სახალხო გვარდიის შტაბის მუშა-მოსამსახურეთათვის.

1 კატეგორია:

მუშები დარაჯნი, მეურმენი, სანიტარები, მეტელეფონენი, არა სპეციალური შიკრიკნი შოფერების თანაშემწე 2 კატეგორიისა თითოს 900 მ. ეძლევა სრული ხარჯი და ტანისამოსი.

2 კატეგორიისა:

უფროსი მუშები შოფერების თანაშემწენი თითოს 1000 მ. ეძლევა სრული ხარჯი და ტანისამოსი.

3 კატეგორია:

მწერლები, რეგისტრატორები, უნცროსი მანქანაზე მომუშავე ქალები, სპეციალისტი მეტელეფონენი, მეუნაგირეთა თანაშემწენი, ხურო თითოს 1250 მ. ეძლევა სრული ხარჯი და ტანისამოსი „პაიოკი“ და ტანსაცმელი.

4 კატეგორია:

უფროსი მანქანაზე მომუშავე ქალები, სტატისტიკოსები, კანტორის მოხელენი, მკერვალნი, მეჩექმე თითოს 1400 მ. სრული ხარჯი და ტანსაცმელი.

5 კატეგორია:

მოანგარიშე, საქმის მწარმოებლის თანაშემწე, უბნების საქმის მწარმოებლები, ბრძანების შემდგენნი, საწყობების გამგის თანაშემწენი, საკუჭნაოში მოსამსახურე, დამკერებელნი, ბარგების გამგე, შოფერი 2 კატეგორიისა, ზეინკალი, ვულკანიზატორი თითოს 1550 მ. სრული ხარჯი «პაიოკი“ და ტანსაცმელი.

6 კატეგორია:

საქმის მწარმოებელნი, უნცროსი მოსამსახურენი დავალების ამსრულებელნი, ექსპედიტორი, უნცროსი ბუღალტერი, საველე ინტენდანტის თანაშემწე, გარაჟის ნივთეული ნაწილის გამგე, იარაღის მოხელე, უფროსი ზეინკალი, საწყობის ზედამხედველნი 2 ხარისხისა თითოს 1800 მ. „პაიოკი“, სრული ხარჯი და ტანსაცმელი.

7 კატეგორია:

უფროსი საქმის მწარმოებელნი, უნცროსი მოსამსახურე მოვალეობის აღმსრულებელნი, უფროსი ბუღალტერი, საწყობის გამგე 1 ხარისხისა, სახელოსნოს გამგე, უფროსი ხელოსანი, ინსტრუქტორი, მექანიკი თითოს 2100 მ. სრული ხარჯი და ტანისამოსი.

8 კატეგორია:

გარაჟის გამგე, ინტენდანტი, ფარმაცევტი—მედიკური ქონების გამგე თითოს 2500 მ. ხარჯით.

9 კატეგორია:

კანცელარიის მმართველი, მდივნის თანაშემწე მთავარი შტაბისა, იარაღის განყოფილების გამგის თანაშემწე, მთავარი ბუღალტერის თანაშემწე და სასამართლოს განყოფილების გამგე თითოს 2800 მ. ხარჯით.

10 კატეგორია:

მომარაგეობის განყოფილების გამგის თანაშემწეს 3100 მ. ხარჯით.

11 კატეგორია:

მთავარი ბუღალტერი, ჯარის ნაწილების შემგროვებელი განყოფილების გამგე, იარაღის განყოფილების გამგე, მედიკო-სანიტარული განყოფილების გამგე, მედიკო სანიტარული განყოფილების გამგის თანაშემწე თითოს 3500 მ. ხარჯით.

შენიშვნა: ულუფას შეადგენს: უფასოთ ყოველდღიურად 2 გირვანქა პური, ყოველ თვიურად 3 გირვანქა შაქარი და $^1/_2$ გირვანქა ჩაი.

ტარიფი დამტკიცებულია სატარიფო პალატის მიერ 1919 წ. 13 ნოემბერს. ძალაში შედის 1919 წ. წ. 1 ნოემბრიდან სატარიფო პალატის ხელ-ახალ განხილვამდე.

მუნიციპალური ცხოვრება.

გორის ქალაქის თვითმართველობაში.

გამგეობამ შემდეგი მოხსენება წარუდგინა ქალაქის საბჭოს: დამტკიცება არ უნდა იმას, რომ ქალაქის ყოველ მხრივ მოწყობა საფუძველია მცხოვრებთა კეთილდღეობისა.

თუმცა ქალაქ გორს ძალიან ბევრი რამ აკლია, რომ გამშვენიერებულ და კეთილად მოწყობილ ქალაქის სახელი დაიმსახუროს და ყველაფრის მოწყობა—გამშვენიერება კი დღეს ათეულ მილიონებს მოითხოვს, მაგრამ არის აუცილებელი საჭიროება იმისთანა საგნებისა, რომლის უქონლობაც ქალაქს სოფელს ამზგავსებს და პირდაპირ ხელს უწყობს ყოველგვარ ეპიდემიის გავრცელებას.

ყველას კარგათ მოეხსენება, რომ გორში მალიარია არის გავრცელებული; ამის მიზეზი არის ქალაქის გარშემო მდებარე ჭაობიანი ადგილები, რასაც აუცილებლივ ამოშრობა უნდა. სანიტარული კეთილდღეობა ქალაქისა ცუდ მდგომარეობაშია, უმთავრესად იმის გამო, რომ ნაგვის გაზიდვა როგორც ქუჩებიდან, ისე სახლებიდან არ არის მოწყობილი რიგიანად.

ნაგავი გროვდება ქუჩაშივე და, ტრანსპორტის უქონლობის გამო, ხანდახან მთელი კვირა რჩება გაუტანელი.

სახლის ნაგავს აგროვებენ ეზოში მთელი ორი-სამი თვეობით; ამ ხნის განმავლობაში უკვე გახრწნილ ნაგავს ეზიდებიან ურმებით და, რაკი უკანასკნელნი არ არიან ნაგვის საზიდათ მოწყობილნი, ნაწილი ამ გახრწნილი ნაგვისა გზაზე იბნევა და სწამლავს ჰაერს. უფრო დიდ ნაკლს შეადგენს ის გარემოება, რომ ნაგავს ჰყრიან ქალაქს გარედ, არა ორმოში, და ბუზების საშუალებით ქალაქში ჩნდება ათასნაირი ავადმყოფობა.

განათლებულ ქვეყნებში ნაგვისათვის სპეციალური ქურები აქვთ, რომელშიაც სწვავენ ნაგავს; ჩვენთვის რაკი ეს მიუწდომელია დღეს, ჯერ-ჯერობით საჭიროა მოეწყოს ნაგვის გასატანი სპეციალური ურმები, შეფერებული თავის დანიშნულებისათვის. ურმების რიცხვი იმდენი მაინც უნდა იყვეს, რომ ნაგავი იზიდებოდეს სისტემატიურად—ქუჩებიდან ყოველ დღე, სახლებიდან ორ-სამ დღეში ერთხელ მაინც.

ყველასათვის აშკარაა, რომ ქალაქის კანალიზაცია არა აქვს და უსუფთაობა იზიდება პრიმიტიული საშუალებით—ხის ძველი დამპურებული ბოჭკებით.

როცა უსუფთაობას ეზიდებიან, შეუძლებელია ქუჩაში გავლა საძაგელი სუნის გამო.

ყოფილა შემთხვევები, რომ ძველი კასრიბოჩკა, სავსე უსუფთაობით, დაშლილა გადატანის დროს ქუჩაში...

იმის გარდა, რომ ყოვლად შეუწყნარებელი და დაუშვებელია ამ საქმის პრიმიტიული საშუალებით წარმოება, ქალაქში სულ სამი-ოთხი ბოჭკა მუშაობს, რაც მოთხოვნილების მეოთხედსაც ვერ აკმაყოფილებს.

საჭიროა ქალაქმა შეიძინოს რკინის საასენიზაციო სამი ქვაბი მაინც, რომლების სისტემატიური მუშაობით დაკმაყოფილებული იქნება სახლის პატრონთა მოთხოვნილება, ქალაქი მუდამ გასუფთავებული იქნება და ერთგვარი მუდმივი შემოსავლის წყაროც ექნება ქალაქს.

ჩამოთვლილ ნაკლულევანებათა გარდა, თავი და თავი უბედურება ჩვენი ქალაქისა არის ჯანსაღი წყლის უქონლობა. ამ საჭირბოროტო საკითხის შესახებ ბევრი მოხსენება და გამოკვლევა დაუწერიათ ამ ათი წლის განმავლობაში, კომისიებს უკვლევიათ ეს საკითხი თეორეტიულად, მაგრამ სხვა და სხვა დამაბრკოლებელ მიზეზების გამო საქმე დღევანდლამდე ვერ მოგვარებულა და დღესაც მცხოვრებნი სვამენ ისეთ წყალს, რომელიც ხოლერის, მუცლის სახადის და სხვა მრავალ გადამდებ სენის გავრცელების პირველი ხელის შემწყობია.

გამგეობის მიერ აღძრულ შუამდგომლობით რესპუბლიკის სამხედრო უწყებას გადაწყვეტილი აქვს გადმოსცეს ქალაქს ხელთუბნიდან გამოყვანილი წყლის სადენი.

რადგანაც 1914 წლიდან მთელი ექვსი წლის განმავლობაში წყალის სადენი უყურადღებოთ იყო მიტოვებული, რის გამოც მილები ხავსით და ქვიშით ამოივსო, ხშირად წყალი სრულებით აღარ მოდის; საჭიროა აღნიშნულ წყალსადენის მოწესრიგება, რის შემდეგ მოქალაქეთ საშუალება მიეცემათ დასალევად სალი წყალი იხმარონ.

ნათქვამის გარდა, ქალაქი რომ ცოტად მაინც მოწესრიგებული იყვეს (სანიტარულად) და მოეპოვებოდეს მას საშუალებანი ეპიდემიასთან საბრძოლველად, აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ქალაქისათვის აშენება სასლახოსი, აბანოსი, საყასბოსი, შეკეთება საავადმყოფოს შენობისა იმ ვარაუდით, რომ შიგ მოეწყოს განყოფილებანი—გადამდებ სნეულთათვის, ვენერიულთათვის და მშობიარეთათვის და სასაფლაოს გზის გაკეთება, რომელზედაც უამინდობის დროს ყოვლად შეუძლებელია გავლა მარტო კაცისათვისაც-კი არამც თუ მასზე მიცვალებულის გატარება.

ყველა ზემოთ მოყვანილი აუცილებელი საჭიროებანი ქალაქმა უნდა დააკმაყოფილოს ერთდროული სანიტარულ-ეპიდემიური გადასახადით, რომლის საერთო თანხაც მოხსენებასთან დართულ ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით უდრის სამს მილიონს ექვსი ათას ორას მანეთს (3.006.200 მან.).

გადასახადის გაწერის და მოკრეფის წესების მიხედვით, რომელიც საბჭოს მიერ უკვე დამტკიცებულია, გამგეობამ თავის აგენტების საშუალებით მოახდინა რეგისტრაცია ყველა მოქალაქეებისა ჯგუფობრივ და შეიმუშავა გადასახადის საშუალო ნორმა თვითეულ ჯგუფის წევრისათვის. იმათ შესახებ, რომლებზედაც ჯერ სწორი ცნობები არა გვაქვს, ან შეცდომით გამოგვრჩნენ, გამგეობის მიერ შემოტანილი იქნება დამატებითი სია და მათი ხვედრი გადასახადის ჯამი.

ჯგუფებზე გადასახადის განაწილების დროს გამგეობა ხელმძღვანელობდა აგენტების საშუალებით მოწოდებულ, ან პირადის დაკვირვებით შეკრებილ ცნობებით.

რადგანაც გადასახადი უვადოა, ამ განაწილების დამტკიცების შემდეგ, თანხის აკრეფის დროს, თუ საჭირო იქნება რეპრესიულ ზომების მიღება კანონის მიერ დასახელებულ ფარგლებში, გამგეობას ევალება მიიღოს ყოველგვარი სათანადო ღონისძიებანი.

ქალაქის გამგეობამ წარუდგინა საბჭოს ამ მოხსენებასთან ერთად 1) სანიტარულ გადასახადის დანიშნულების ხარჯთ-აღრიცხვა, 2) მოქალაქეთა ჯგუფობრივ დაჯგუფების ნუსხის საგეგრო ნორმები, რომლებიც გუშინდელ ჩვენ გაზეთში დაიბეჭდა.

სახალხო გვარდიის ცხოვრება

პანაშვიდი ძმათა სასაფლაოზე.

სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა გადასწყვიტა 19 დეკემბერს „ძმათა სასაფლაოზე“ გადაუხადოს პანაშვიდი შარშან ამავე დღეს ეკატერინოდართან მოკლულ გვარდიელებს. პანაშვიდს დაესწრება გვარდიის ნაწილები და მუშაობისაგან თავისუფალი გვარდიელები.

მცხოვრებთა განიარაღება.

სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს საჩხერიდან აუწყებენ, რომ იქ მცხოვრებნი თანაგრძნობით შეხვდენ გვარდიელებს. იარაღის ჩაბარებაზე ყველა თანახმაა.

ცნობილ ყაჩაღის მოკვლა.

სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს ხაშურიდან აუწყებენ, რომ 14 დეკემბერს იქ მოუკლავთ ცნობილი ყაჩაღი პეტრე სამხარაძე.

მისალმებანი.

სახალხო გვარდიის დღესასწაულის გამო მთავრობის თავმჯდომარეს, სახალხო გვარდიას და დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმს მრავალი მილოცვის დეპეშები მოსდის სხვა და სხვა კუთხეებიდან და ორგანიზაციებისაგან.

უცხოეთი

(საქართვ. დეპ. სააგ.).

მოხალისეთა ჯარის ცნობა.

ტაგანროგი, დეკ. 14. სამხედრო ცნობა. ასტრახანის მიმართულებით მდგომარეობა არ შეცვლილა. კამიშინის მიმართულებით მდგომარეობა არ შეცვლილა. კამიშინის მიმართულებით მოწინავე რაზმის შეტაკება ჩვენ სასარგებლოთ სწარმოებს. პოვირინოს მიმართულებით დონზე, ილოვლამდე მზვერავები მოქმედებენ. დასავლეთით დონის რაზმი თავს დაესხა სადგ. ბუაიკინოვსკაიას (?) სადაც ხელში ჩაიგდო ტყვიისმფრქვევლები და 42 ტყვე წამოიყვანა. ტალაროვის მიმართულებით ბოგუჩარის ჩრდილო-აღმოსავლეთით დონის ნაწილები გალიევკაზე უტევდა, მათ ხელში ჩაიგდეს 2 ტყვიისმფრქვეველი, თოფები და ს. ხ. (შემდეგი გაპ.). ნოვო-ოსკოლის მიმართულებით ვალუიკისა და კუპინსკის შუა არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. რამდენიმე დღის ბრძოლის შემდეგ ხარკოვის ჩრდილოეთით ჩვენი ჯარი ასრულებდა რა წინდაწინ აღნიშნულ გეგმას, ქალაქის სამხრეთით ახალ პოზიციებზე გადაჯგუფდა. (გამოტოვებულია) ბერდიჩევის რაიონში ბრძოლაა. კამენეც-პოდოლის და ოდესის რაიონში სიწყნარეა.

მოსკოვი, დეკემბრის 15. სამხედრო ცნობა. ნარვის რაიონში არტილერია მოქმედებს. დასავლეთ დვინაზე დრისის რაიონში ჩვენი მზვერავები მხნედ მოქმედებენ. ჩამოიყვანეს რამდენიმე ტყვე. ჟიტომირის რაიონში ბერდიჩევის ჩრდილო დასავლეთით ბრძოლის დროს ჩვენ ხელში ჩავიგდეთ 2 ზარბაზანი და ოთხი ტყვიის მფრქვეველი. კიევის რაიონში ბრძოლაა. ზოლოტონოშის მიმართულებით პირიატინოს სამხრეთით 20 ვერსზე წინ წავიწიეთ. პოლტავის და ხარკოვის რაიონში მდგომარეობა არ შეცვლილა. კუპიანის მიმართულებით ჩვენი შეტევა გრძელდება. მტერი წინააღმდეგობას გვიწევს, დამატებითი ცნობებით ბირიუჩას ჩრდილო-დასავლეთით ბრძოლის დროს ჩვენმა ჯარმა მამონტოვის ცხენოსანთა კორპუსის შტაბი, შკუროს რაზმის საჭირო საბუთები და მრავალი სამხედრო ქონება ჩაიგდო ხელში. სტარო ბელსკის ჩრდილოეთით 60 ვერსზე ჩვენ ბრძოლით ავიღეთ სოფელი. მილიროვის მიმართულებით ესტრატოვკის სადგ. სამხრეთით 20 ვერსზე ბრძოლის დროს ჩვენ წამოვიყვანეთ 400 ტყვე, ხელში ჩავიგდეთ 2 ტყვიისმფრქვეველი. ბოგუჩარის რაიონში ჩვენი ჯარი ბრძოლით გადავიდა დონზე ბოგუჩარის ჩრდილო-დასავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით და ნაპირებზე ადგილები დაიჭირა. გალიევკაზე შემოტეული მტრის იერიშები მოვიგერიეთ. მტერი ძლიერ დაზარალდა. ნოვო გრიგორიევსკაიას რაიონში აჯვილობრივი ხასიათის ბრძოლა ცვალებადია. ურალსკის რაიონში ჩვენი ჯარი ლბიშჩენსკის სამხრეთით 70 ვერსზე გამოვიდა.

ბათუმში

ამჟამად დიდი მოთხოვნილებაა ბაზარზე ქართული ბონების. 120 პროცენტით მეტს ფასობს.

სამოქალაქო სამმართველოს განკარგულებით ქალაქის თვითმართველობას ბათუმის ხაზინაში გაეხსნა 68520 მანეთის კრედიტი საქალაქო სამმართველოს ხარჯებისთვის.

ნიხრის დამწესებელმა კომისიამ უკვე დაასრულა ნიხრის შედგენა, რომლის თანახმად პირველ საჭიროების თითქმის ყველა საქონელზე ახალი ფასები დაწესდა.

10 დეკემბერს ბათუმის შრომის ბირჟაში ჩაეწერა 15 უმუშევარი, მათ შორის 5 ქალი.

10 დეკემბერს ჯიჯანაშვილის ფეხსაცმელების სახელოსნოდან ლიაპინოვმა მოიპარა ორი წყვილი ფეხსაცმელი და გაიქცა მიხაილოვის ქუჩით თათრის ბაზრისაკენ, მაგრამ მილიციონერთა მიერ დატუსაღებულ იქნა. ფეხსაცმელები პატრონს გადაეცა.

11 დეკემბერს ბათუმში მოვიდა იტალიის გემი „კლეოპატრა“, რომელიც იმავე დღესვე უკან გაბრუნდა.

ამავე დღეს მოვიდა აგრეთვე საქართველოს მატორიანი ნავი „ესტონია“, ბელგიელთა გემი „ურალი“ და რუს. მატ. ნავი „პოსეიდონი“.

სასამართლოს სენატში.

სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების საკრებულოს 1919 წლის დეკემბრის 19 სხდომაზე განსახილველ საქმეთა ნუსხა:

1. საკასაციო საჩივარი მიხეილ რომანოზისძის და ნინო რაფაელის ასულის დოლუხანოვებისა ტფილისის სასამართლო პალატის 1919 წლის თებერვლის 27 დადგენილ გადაწყვეტილებაზე მიხეილ რომანოზის ძის და ნინო რაფაელის ასულის დოლუხანოვებსა სიმონ ზაქარიას ძე მაჩხანელთან მიწის საკუთრების უფლების თაობაზე სარჩელის შესახებ.

2. საკასაციო საჩივარი ბატირ-ბეგ მამსუროვისა ტფილისის სასამართლო პალატის 1918 წლის ნოემბრის 28—2 დეკემბრის დადგენილ გადაწყვეტილებაზე სერგეი არტემის ძის გარიბოვის ბატირ-ბეგ მამსუროვთან ანგარიშის მოთხოვნის თაობაზე სარჩელის შესახებ.

3. საკასაციო საჩივარი გამშეი რამინდიკისა ტფილისის სასამართლო პალატის 1919 წლის დეკემბრის 12 დადგენილ გადაწყვეტილებაზე გამშეი პინხუს ლეიბერის ძის (იგივე გრიგოლ ლაზარეს ძე) რამენდიკის დავით სოლომონის ძე კოგანთან შენობის განთავისუფლების და ხელშეკრულობის შეუსრულებლობის 2793 მან. 50 კაპ. სარჩელის შესახებ.

4. საკასაციო საჩივარი იოსებ აკოფოვისა ტფილისის სასამართლო პალატის 1918 წლის დეკემბრის 16 დადგენილ გადაწყვეტილებაზე იოსებ აკოფის ძის აკოფოვის ოგანეს აგაჯანის ძის გევორქოვთან 35,000 მანეთის წინასწარ გაყიდვის ხელშეკრულობის თაობაზე სარჩელის შესახებ.

5. საკასაციო საჩივარი ალექსანდრე და ნინო ლაფერაშვილებისა ქუთაისის სამომრიგებლო ოლქის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის 1919 წლის ივლისის 25—30 დადგენილებაზე გარდაცვალებულ გრიგოლ ბოქერიას ობლების და მაშულის მოურავის სპირიდონ ალექსის ძის ბოლქვაძის ზემოდასახელებულ ლაფერაშვილების მიმართ ბინის დაცლის თაობაზე სარჩელის შესახებ.

სხვა და სხვა.

✦ გუშინ დაიწყო შინაგან საქმეთა სამინისტროს გადასვლა ახალ ბინაზე, ყოფილ სამხედრო გიმნაზიის შენობაში. უკვე გადატანილ იქმნა მინისტრის და მისი ამხანაგის კაბინეტები და საადმინისტრაციო განყოფილება.

✦ ს. გრაფოვკაში მყოფმა რუსმა ლტოლვილებმა სთხოვეს რუსთა ნაციონალურ საბჭოს, რათა მათ შეღავათიან ფასებში დაეთმოთ ხორბალი, კარტოფილი, შაქარი და სხვ.

საბჭომ გადასწყვიტა დააკმაყოფილოს ლტოლვილების თხოვნა შეძლების და გვარათ.

✦ პლეხანოვის პროსპ. და ქსენიას ქ. კუთხეში რუსთა ნაციონალურმა საბჭომ 13 დეკემბერს გახსნა მაღაზია. საბჭოს მიზნათ აქვს მცხოვრებთ მიაწოდოს კარგი ხარისხის პროდუქტები და საქონელი რაც შეიძლება იაფად.

წესდება

საქართველოს კოოპერატიულ ბანკისა.

§ 13. სარგებლიან ქაღალდების და სხვა მოძრავ ქონებათა დაგირავება ხდება ყველა საკრედიტო დაწესებულებათათვის მიღებულ წესით, ე. ი. ბანკის გამგეობისთვის გირაოს უბრალო გადაცემით დამგირავებლის მიერ ხელმოწერილ განცხადებით, რომელშიაც აღნიშნულ უნდა იყოს, რომ, თუ სესხი ვადაზე არ იქნება დაბრუნებული, გამგეობას უფლება ეძლევა გაჰყიდოს გირაო; ბანკის გამგეობა თავის მხრივ აძლევს მოწმობას გირაოს მიღების შესახებ. მოწმობაში სისწორით უნდა იყოს აღნიშნული, თუ რა გირაოა მიღებული და რა პირობითაა გაცემული სესხი.

§ 14. პროცენტის რაოდენობას და ვექსილის დისკონტის და ყოველგვარ სესხის, აგრეთვე ანაბარის და სახელდახელო ანგარიშის პირობებს ადგენს გამგეობა და აქვეყნებს ადგილობრივ გაზეთებში;

§ 15. სყიდვას და გაყიდვას ბანკის მიერ მესამე პირთა ანგარიშებში და ყველა ოპერაციებს დავალებით, რომლებიც ჩამოთვლილია მე-12 §-ის პუნქტებში: გ, დ, ე, ვ, ზ, ჰ, თ, ი, მ. და ნ, აწარმოებს ბანკი გამგეობის მიერ დაწესებულ და წინდაწინვე გამოცხადებულ საკომისიო გადასახადით.

§ 16. სყიდვას მესამე პირთა ანგარიშში ბანკი ახდენს იმ ფულით, რომელიც ირიცხება ბანკში კოოპერატიულ დაწესებულებათა სახელდახელო ანგარიშზე ან და წინდაწინვე ამ მიზნით მიღებული ფულით, რომელიც უნდა ჩაირიცხოს სახელდახელო ანგარიშში იმ დაწესებულების, რომელიც ავალებს ბანკს სყიდვას.

§ 17. ბანკი ახდენს დისკონტს ვექსილების და ყოველგვარ სხვა სავაჭრო ვადიან ვალდებულების, რომლებიც უზრუნველყოფილია ორი ხელმოწერით. ერთი ხელმოწერილი ვექსილი ბანკს შეუძლიან მიიღოს დისკონტის მოსახდენათ მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი უზრუნველყოფილია 12 § ის პუნ. ბ. ჩამოთვლილ ღირებულებით და ქონებით, რომლებიც მიღებულია გირაოთ იმავე პუნქტში აღნიშნული წესით.

§ 18. დაწესებულებას, კერძო პირს, რომელიც წარადგენს § 17 ში აღნიშნულ გირაოს, ბანკს შეუძლიან გაუხსნას კრედიტი, რომლის რაოდენობაც განისაზღვრება ბანკის გამგეობის მიერ და რომელიც არ უნდა აღემატებოდეს გირავნობით ნება დართულ სესხის რაოდენობას. ამ რაოდენობით ბანკი იღებს დისკონტის მოსახდენათ ვექსილებს, გაცემულს კერძო პირის და კოოპერატიულ დაწესებულების მიერ, რომელსაც გახსნილი აქვს კრედიტი, აგრეთვე ვექსილები სხვა არსებისა ინდოსამენტით პირისა ან დაწესებულებისა, რომელსაც კრედიტი აქვს გახსნილი ბანკში.

განცხადებანი

ლუკა თომას ძე მიმინოშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა: 1) პირადობის მოწმობა № 3016 და 2) იარაღის ტარების ნებართვა № 1736, აღებული ფოთის საყარაულო უფროსისგან. მოწმობები გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 227 3—1

აკაკი პეტრეს ძე სიგუამ დაჰკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მოცემული მატრიკული № 162, რაც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. უ. 3—1

ქუთაისის ქალაქის სახალხო მილიციის სამმართველო, თანახმად ისაკ იაკოფის ძე ციციაშვილის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს უვადო ბაშფორთი, მიცემული ამავე სამმართველოდან და ყოველივე სამხედრო საბუთები, სთხოვს მპოვნელს აღნიშნული საბუთებისა წარმოადგინოს მილიციის სამმართველოში ჩასაბარებლათ კუთვნილებისამებრ. 226 3—1

მცხოვრებმა სოფ. პატარა ჯიხაიშისა დავით ესტატეს ძე ჩიტიამ დაჰკარგა პასპორტი, მიცემული ლანირ-ქვიტირის სამმართველოდან ერთი წლის ვადით 25 სექტემბრიდან 1919 წ № 316, რომელიც გაბათილებულათ უნდა ჩაითვალოს. 0320 3—1

სენაკის უბნის მომრიგებელი მოსამართლე, ქუთაისის გუბერნიისა, იწვევს გარდაცვალებულ მცხოვრებს ქალაქ ახალ-სენაკისა, სენაკის მაზრის, ქუთაისის გუბ., ნინო ჩემიასა, საბა კოლოშვილის ასულისა, მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ჩემიას ქონებაზე, სამოქალაქო კანონის, კრებულის მეათე ტ. 1 ნაწ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში, 0321 1—1

ზესტაფონის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებულის ერმილე ალექსის ძე ქებაძისას, რათა მათ ექვსი თვის განმავლობაში დღიდან გაზეთში გამოცხადებისა წარმოადგინონ თავისი უფლება ქებაძის ქონებაზე. 0339 1—1

დავით სიმონის ძე იზნელი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მატრიკული, აღებული სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიიდან. მატრიკული გაუქმებულათ ჩაითვალოს. 391 3—1

ლიდია იოანეს ასული ხრიპოვიჩი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი, მიღებული ამიამლის სოფლის სამმართველოდან 27 დეკემბერს 1916 წ. № 1106. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 385 3—1

არსენ დავითის ძე ყოდალაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი, მიღებული სოფ. ლიხაურის სოფლის სამმართველოდან 1901 წ. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 387 3—1

ნიკა იოსების ძე მოსეეშვილი აცხადებს, რომ დუქნიდან 9 დეკემბერს გაგზავნილი ბიჭი, შაქრო გონჯაშვილი, უკან აღარ დაბრუნებულა. დაკარგული ყმაწვილი 12 წლისაა. ვინც კი რაიმე იცის ამ ყმაწვილზე სთხოვენ შეატყობინონ პატრონს შემდეგი მისამართით: კახეთის ქ., № 2, ნიკა იოს. ძე მოსეშვილს. 382 2—1

გრიგორი პატასის ძე პაპასკირი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, ბათუმში გასვლის ნებართვა. აღნიშნული საბუთები გაუქმებულათ ჩაითვალოს. უ. 3—1

გერმანე ანტონის ძე ჯიბუტი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მატრიკული, მიღებული სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტიდან № 461. მატრიკული გაუქმებულათ ჩაითვალოს. 384 3—1

ქალ. ტფილისის მე 10 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ დანიელ სააკის ძის მალხასიანცის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება მალხასიანცის ქონებაზე სამოქალაქო კანონთა კრებულის მეათე ტომის 1 ნაწილის 1241 მუხლში აღნიშნულ ვადაში. 318 1—1

ქ. ტფილისის მე 20 მომრიგებელ უბნის მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ მარიამ მიკირტუმოვას მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება მიკირტუმოვას ქონებაზე სამოქალაქო კანონთა კრებულის 1 ნ. X ტ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში.
306 1—1

ქ. ტფილისის მე 14 სამომრიგებლო უბნის მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ემა თომას ასულის რუცევიჩის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება რუცევიჩის ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 308 1—1

სოხუმის ოლქ. სასამ. ოჩემჩირის განყოფილების მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ჰაჯი-ოსმან-აგარალ-ოღლის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება აგარალ-ოღლის ქონებაზე სამოქ. კანონთა კრებ. I ნ. X ტ. მე 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში.
0349 1—1

ქ. ტფილისის მე-6 უბნის მომრიგებელი მოსამართლე ამით აცხადებს, რომ ვექსილობა, მიცემული მარიამ მანუკის ასულ აფრიკიანის მიერ ნიკოლოზ აბრამის ძე აბრამოვზე და შედგენილი ტფილისის ნოტარიუს მიტკევიჩთან 1919 წ. აპრილის 28-ს, რეესტრი № 2301, გაუქმებულათ ითვლება.
338 1—1

რეფსიმე მარტიროსის ასული სტამბულციანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ატესტატი № 86, აღებული მარიამ ანანოვის სახელობის სასწავლებლიდან 1919 წ. ატესტატი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 389 3—1

კლემენტი კონსტანტინეს ძე ჩიკვანაია აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა, აღებული ქალაქის სამმართველოდან. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 390 3—1

ქ. ტფილისის მე-13 სამომრიგებლო უბნის მოსამართლე გავსოვიჩი აცხადებს, რომ 1919 წლ. დეკემბრის 19 ს, დილის 10 საათ. პიროგოვის ქ., № 2, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ბორის ზამლინსკის, ვლადიმერ კვატკოვსკის, ვლადიმერ კარპოვიჩის და არკადი მარტინოვის მოძრავ ქონებაზე, რომელიც აწერილია იოსებ ანაცაკანოვის ვალში ტფ. ოლქ. სასამ. აღმასრ. ფურცლით № 20240. ქონება შეიცავს პიანინოს, დგამს, და სხვ. შეფასებულს 12974 მ. 50 კაპ. 290 1—1

კარაპეტ მიხეილის ძე მერაბიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა, მიღებული ტფილისის საშუალო პოლიტეხნიკურ სასწავლებლიდან 15 სექტ. 1919 წ. № 52 მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს 372 3—2

ევგენი კოჩაროვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა აღებული სახელმწიფო თეატრიდან. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 372 3—2

ჰოანეზ აბელიანი (არტისტი) აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი თავისი და ცოლ შვილის, რომელიც გაუქმებულად ჩაითვალოს. 364 3—2

ვარლამ ილიას ძე ყუფიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა (მანდატი) მიღებული სახალხო გვარდიის მეორე ვაგზლის რაიონის შტაბიდან 15 ოქტ. 1919 წ. № 525. მანდატი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 381 3—2

ელო მოსეს ძე შიმშილაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, აღებული ცხინვალის სამმართველოდან. პასპორტი გაუქმებულად ჩაითვალოს. 374 3—3

სენაკის უბნის მომრიგებელი მოსამართლე ქუთაისის გუბერნიისა, იწვევს გარდაცვალებულ მცხოვრები ს. ძველი სენაკის, სენაკის მაზრის, ქუთაისის გუბ., ისააკი, იგივე ანდრო, მახვილის ძე ქავთარაძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება ქავთარაძის ქონებაზე, სამოქალაქო კანონის, კრებულის მეათე ტ. 1 ნაწ. 1241 მუხლით აღნიშნულ ვადაში. 312 1—1

იოსებ ზაქარიას ძე წიკლაური აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა (მე-5 კომ. კომისრის თანაშემწის) № 16. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 388 3—1

სისხლ. სამ. მილიციონერებმა იპოვეს ლომბარდის კვიტანცია სხვა და სხვა ძვირფას ნივთების დაგირავებისა. კვიტანციის პატრონი კვიტანციის მისაღებათ (დამამტკიცებელი საბუთით რომ კვიტანცია მისია) უნდა გამოცხადდეს სისხლის სამართლის მილიციაში.

11 დეკემბერს ტფილისის მთავარ საბადოში მოიპარეს რევოლვერი. სისხლ. სამ. მილიციამ დააპატიმრა ზედამხედველი ირაკლი ლოლუა.

სისხლ. სამ მილიციამ დააპატიმრა პეტრე დიმიტრის ძე ბოკერია, რომელსაც ბრალდება ვალენტინა შელემენტიევას ხალიჩების მოპარვა.

გაგრის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ გიორგი თომასძე საიპოვის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება საიპოვის ქონებაზე სამ. კან. კრებ. 16 X ტ. მე 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში.
178 3—1

ივანე სტანისლავის-ძე პივარუნი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი, მიღებული ტფილისის პოლიცმეისტერის კანცელარიიდან და სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა მიღებული ტფილისის სამხედრო უფროსისგან. მოწმობები გაუქმებულათ ჩაითვალოს.
275 3—3

ვართან ვასილის ძე თამამშევი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი მიღებული ტფილისის პოლიცმეისტერის კანცელარიიდან 26 ივნის 1917 წ. № 3070. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს.
380 3—3

ივანე მიხეილის ძე მუციშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ატესტატი აღებული 1910 წ. ივნისის 10 № 154 სიღნაღის სამოქალაქო სამ კლასიანი სასწავლებლიდან. ატესტატი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 367 3—2

ვალერიან ისაკის ძე ახვლედიანი აცხადებს რომ მან დაჰკარგა ქუთ. ქართულ გიმნაზიიდან აღებული 8 კლასის გათავების მოწმობა 1910 წ. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს.
373 3—3

იოსებ ნიკოლოზის ძე ციბაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული სოფ. ფარცხა-ნაყანების ერობიდან. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 368 3—1

გრიგორი ნიკოლოზის ზე კეპულაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი ქუთაისის კოოპერატივის დამხმარებელ საზოგადოების საწევრო წიგნაკი, ბალაჯარის სადგურის უფროსის კანცელარიიდან აღებული მოწმობა იმაზე, რომ კეპულაძეს ერგებოდა ოთხი თვის დამატებითი ჯამაგირი. აღნიშნული საბუთები გაუქმებულათ ჩაითვალოს. 341 3—3

საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოება

ამით აუწყებს ბ.ბ. აქციონერთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ 1920 წლის 1 იანვრამდე შემოტანილი არ იქნება აქციების ხვედრი ფული, თანახმად წესდების 20 მუხლისა, მყიდველთ ეკარგებათ უფლება აქციებზე და უკვე შეტანილი ფული, ხარჯების გამოკლებით დაუბრუნდებათ უკან. 3—3

სადახლოს საბაჟო

ამით საყოველთაოდ აცხადებს რომ 30 დეკემბერს 1919 წელს დილის ათ საათზე სადახლოს საბაჟოში (სადგური სადახლო) გაიყიდება საჯარო ვაჭრობით საბაჟოს მიერ ჩამორთმეული საქონელი სახელდობრ: თამბაქო, პაპიროსები, პაპიროსის ქაღალდები, ფართლეულობა, ქალის კაბები ჩითისა, კოჭის ძაფი, მომჰასიე და სხვა და სხვა.
378 3—2

ხან საგნაქსპის (არტისტ. საზ.) ელექტრონის სადგური

აცნობებს აბონენტებს, რომ ელექტრონ ენერგიის სარგებლობისთვის ფული გადახდილი უნდა იქნეს თვიურულ თვის 3 რიცხვიდან 10 მდე. ვინც არ გადაიხდის გამორიცხულად ითვლება. აბონენტებს ანგარიშები არ გაეგზავნებათ. „სჩოტჩიკის“ გასასინჯათ დაშვებული უნდა იქმნენ მხოლოდ ის პირნი, რომლებიც სათანადო მოწმობას წარმოადგენენ. 394 2—1

რედაქტორის მოვალ. დრ. ალმ. გრიგოლ მაჭავარიანი